

აბსოლუტური საგრანტო ქულის გამოთვლის წესი

ტესტის თითოეული ნაწილისათვის ვპოულობთ კანდიდატის მიერ ტესტის ამ ნაწილში მიღებულ გათანაბრებულ ქულას. გათანაბრებული ქულა გაანგარიშებულია მეათასედის სიზუსტით. ამის შემდეგ, ტესტის თითოეული ნაწილისათვის დადგინდება კანდიდატის მიერ ტესტის ამ ნაწილში მიღებული ე. წ. ნორმირებული ქულა, რომელიც წარმოადგენს კანდიდატის მიერ ტესტის ამ ნაწილში მიღებული გათანაბრებული ქულის შეფარდებას ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალურ ქულასთან. მაგალითად, თუ კანდიდატის მიერ ტესტის წაკითხულის გააზრების ნაწილში მიღებული გათანაბრებული ქულაა 14,047, მაშინ ამ ნაწილში მიღებული ნორმირებული ქულა $\frac{14,047}{21}$ -ის ტოლი იქნება.

აბსოლუტური საგრანტო ქულის გამოსათვლელად ვკრებთ ტესტის ოთხივე ნაწილში მიღებულ ნორმირებულ ქულებს და მიღებულ ჯამს ვამრავლებთ 40698000-ზე (რიცხვი 40698 წარმოადგენს ტესტის ოთხივე ნაწილის მაქსიმალურ ქულათა (21-ის, 18-ის, 17-ის, 19-ის) უმცირეს საერთო ჯერადს). საბოლოოდ მივიღებთ მთელ რიცხვს, რომელიც ჩაითვლება კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მიღებულ აბსოლუტურ საგრანტო ქულად.

მაგალითად, თუ კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გაიარა სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის კონკურსი, გათანაბრების შემდეგ წაკითხულის გააზრების ნაწილში აქვს 14,047 ქულა, ანალიტიკური წერის ნაწილში – 5 ქულა (ზღვარი ვერ გადალახა), ლოგიკური მსჯელობის ნაწილში – 15 ქულა, ხოლო რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილში – 17,8 ქულა, მაშინ მისი აბსოლუტური საგრანტო ქულა იქნება:

$$\left(\frac{14,047}{21} + \frac{5}{18} + \frac{15}{17} + \frac{17,8}{19} \right) \times 40698000 = 112565686.$$

ბოლოს შევნიშნოთ, რომ მაქსიმალური შესაძლო აბსოლუტური საგრანტო ქულაა:

$$\left(\frac{21}{21} + \frac{18}{18} + \frac{17}{17} + \frac{19}{19} \right) \times 40698000 = 4 \times 40698000 = 162792000.$$